ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშინწინ ქუთაისში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა" და დონეცკის „შახტიორის" ფეხბურთელთა შორის.

ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისელები მორიგ შეტევაზე არიან. მეტოქის კარში ბურთს თავით აგზავნის ჯ. ხერხაძე (მარჯვნივ).

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

(მატჩის რეცენზია იხ. მე-3 გვ.).

# „ადამიანი, დრო, ბედი"

ბელგრადი, 26 აგვისტო. „მთელს დედამიწაზე მილიონობით ფეხბურთის მოყვარულთა აზრით, ლევ იაშინი ყველა დროის საუკეთესო მეკარეა," — ასე წერდა ამას წინათ ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა" თავისი მუდმივი რუბრიკით — „ადამიანი, დრო, ბედი" გამოქვეყნებულ სტატიაში.

გაზეთი იკვლევს იაშინის საუცხოო თამაშის „საიდუმლოებებს" და მისი ოსტატობის დეტალები მოჰყავს: იგი დაუღალავად ვარჯიშობს, რაციონალურად, „უეფექტებოდ" მოქმედებს, თავისი კარის წინ შექმნილ სახიფათო სიტუაციებს ძალიან უბრალოდ და მეტისმეტად ზუსტად ახშობს, არ ელოდება, ვიდრე მეტოქე მასთან ახლოს მიიჭრება.

გაზეთს მიაჩნია, რომ მეკარე ბოლოს და ბოლოს მწვრთნელად დაიწყებს მუშაობას და როცა ეს მოხდება, „გულშემატკივრები მოიგონებენ მატჩებს მოსკოვის „დინამოს", სსრ კავშირისა და მსოფლიოს ნაკრები კოლექტივების მონაწილეობით, რომლებშიც იაშინს უთამაშია".

# ფრიალებენ უნივერსიადის ალმები

ტურინი, 25 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში თავი მოიყარა 62 ქვეყნის დაახლოებით 3 ათასმა ახალგაზრდა ათლეტმა, რათა 26 აგვისტოს წლევანდელი მსოფლიო უნივერსიადის ოქროს 93 მედლისთვის ბრძოლაში ჩაებას.

საბჭოთა სტუდენტი სპორტსმენები უნივერსიადის სრული პროგრამით იასპარეზებენ—სტარტებს აიღებენ მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, წყალში ხტომაში, ფრენბურთში, კალათბურთში, წყალბურთში, ფარიკაობასა და ჩოგბურთში.

საბჭოთა დელეგაცია ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია. მასში ქვეყნის 80 ქალაქის წარმომადგენელი 200 სტუდენტი და ასპირანტია. აქ არიან ვ. სანეევი, ვ. ბორზოვი, ნ. ჩიჟოვა (მძლეოსნობა), გ. სტეპანოვა-პროზუმენშჩიკოვა (ცურვა), ლ. პეტრიკი (ტანვარჯიში), მ. პაულაუსკასი (კალათბურთი), თ. ლეიუსი (ჩოგბურთი) და სხვა ცნობილი თუ ნაკლებად სახელმოხვეჭილი ათლეტები.

ამერიკის შეერთებული შტატების გუნდში 150 სპორტსმენია. ძლიერი გუნდები გამოგზავნეს ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის სტუდენტურმა ორგანიზაციებმა.

„უნივერსიადა-70"-სთვის კარგად მოემზადნენ ამ საინტერესო ასპარეზობის მასპინძლები. ხვეციალური წვრთნა გაიარა 216 სპორტსმენმა, რომლებიც იტალიის ღირსებას დაიცავენ.

უნივერსიადის ორგანიზატორებმა მძლეოსანთა სტარტებისთვის ტარტანის ბილიკები გააკეთეს, ააშენეს შესანიშნავი აუზი წყალში ხახტომი კოშკებით. უნივერსიადის მონაწილეები ტურინის საუკეთესო დარბაზებში გამოვლენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 168 (4162)

1970 წ. 27 აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# 20-ᲡᲗ

◆ ნიუ იორკი, 26 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატში გამოსვლამდე საბჭოთა ჩოგბურთელები ახლა ნიუ-ჯერსის შტატში მიმდინარე ტურნირში ასპარეზობენ. პირველ წრეში თბილისელმა ა. მეტრეველმა დაამარცხა ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ბ. ბოური — 6:3, 7:5, მერე კი სძლია ჩილიელ ჯ. ფილოლს — 8:6, 6:2. მოსკოველმა ო. მოროზოვამ მოუგო პ. ვალკდენს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 7:5, 6:2. წორჩი ალმაათელი ჟ. კროშინა სტარტზე სახელგანთქმულ ჯ. ტეგარტს (ავსტრალია) შეხვდა. გაიმარჯვა ტეგარტმა (6:0, 7:5), რომელიც ახლა დალტონის გვარს ატარებს. ბრძოლას გამოეთიშა მოსკოველი ვ. კოროტკოვიც: მან წააგო ფრანგ ჟ. რუიესთან — 6:8, 4:6.

◆ ვარშავა, 26 აგვისტო. იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა კატოვიცესა და ვარშავაში ორი მატჩი გამართა პოლონელებთან და ორივე ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოიგო. აქ ჩამოსვლამდე იაპონელებმა ჰელსინკში ასევე „მშრალად" დაამარცხეს ფინეთის ნაკრები.

◆ იუვიასკიულია (ფინეთი), 26 აგვისტო. ავტომობილისტთა პოპულარულ შეჯიბრებაში—„ათასი ტბის" რალიში (2500 კმ) წლეულს წარმატება იზეიმეს ლონდონ — მეხიკოს ავტომარათონში გამარჯვებულებმა — ფინელმა ჰ. მიკოლამ და შვედმა გ. პალმმა (შტურმანი). საბჭოთა სპორტსმენებს ამჯერად რალის სტარტი არ აუღიათ.

**როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...**

# ა. მეტრეველმა და ო. მოროზოვამ კარგად დაიწყეს

## ჩვენს მეგობარ რესპუბლიკებში

# ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მწვერვალი

დუშანბე, 25 აგვისტო. სამხრეთ-დასავლეთ პამირის უსახელო მწვერვალზე ტაჯიკეთის ფიზკულტურის კომიტეტის ალპინისტურმა ექსპედიციამ მემორიალური ფილა აიტანა, რომელზეც ვ. ი. ლენინის ბარელიეფია გამოსახული. ხუთი დღის განმავლობაში 9 მთამსვლელი (ხელმძღვანელი — ქარხანა „ნურეკჰიდროენერგოსტროის" საამქროს უფროსი, ინჟინერი ა. კორჟავინი) უტევდა პამირის მთების სამი ქედის — შოხდარინის, შუგნანისა და სამხრეთ ალიჩურის ქედების შესაყართან მდებარე მწვერვალს (5806 მ). ამიერიდან მას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის პიკი ეწოდა.



ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის მშრომელები თავიანთ სპორტის სასახლეს „ჯანმრთელობის საამქროს" უწოდებენ. აქ ყველა პირობაა შექმნილი ტანმოვარჯიშეების, ძალოსნების, მოკრივეების, მოცურავეების, ფრენბურთელების, კალათბურთელების და სხვათა ვარჯიშისთვის.

ს უ რ ა თ ზ ე: მიმდინარეობს მხატვრული ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობა.

ვ. იაკობსონის ფოტო. („პრავდა").

# 13 გუნდი, 800-მდე მონაწილე...

ამიერკავკასიის ენერგეტიკული გიგანტის — ენგურჰესის მშენებელთა სპარტაკიადა კარგ და სასარგებლო ტრადიციად იქცა. აგვისტოს დამდეგს ძალოვანი კვანძის სამმართველოს დაბა საბერიოს სპორტულ ბაზებზე საზეიმო ვითარებაში აღიმართა VI საზაფხულო სპარტაკიადის ალამი. სტარტზე გამოვიდა 13 სამშენებლო სამმართველოს 800-მდე ფიზკულტურელი.

შეჯიბრებები 9 სახეობაში ჩატარდა. ფეხბურთში უძლიერესის სახელი ვარდნილჰესის სამმართველოს გუნდმა დაისაკუთრა. ფეხბურთელებს არც ამ სამმართველოს ძალოსნები ჩამორჩნენ, რომლებმაც ფარ-ხმალი დააყრევინეს წინა სპარტაკიადების უცვლელ ჩემპიონს— ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს გუნდს.

ცურვაში ფავორიტებად კაზხალმშენებელი სპორტსმენები ითვლებოდნენ და პირველობაც მათ დარჩათ. კაზხალმშენებლები პირველობდნენ მაგიდის ჩოგბურთელთა და ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირებშიც.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა კალათბურთელთა შეჯიბრება. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ტოლი არ ჰყავდათ ძალოვანი კვანძის სამმართველოს სპორტსმენებს. მათვე მოიგეს პირველობა ხელბურთსა და ქალთა ფრენბურთში.

ჭადრაკსა და შაშში კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველომ და ჩემპიონობაც არავის დაუთმო.

გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა ძალოვანი კვანძის ფიზკულტურულმა კოლექტივმა (საბჭოს თავმჯდომარე ნ. გოჯიაშვილი, ინსტრუქტორი რ. კახაძე).

გამარჯვებულს ცოტათი ჩამორჩა კაზხალმშენის სამმართველოს ნაკრები (ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე გ. ნემსიწვერიძე, ინსტრუქტორი ა. ზამბახიძე).

III ადგილი დაიკავეს ვარდნილჰესის სამმართველოს სპორტსმენებმა (ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე გ. ბიბლაია, ინსტრუქტორი ნ. ეზუგბაია).

ჯ. ფიფია.

ზუგდიდი.

◆ ზუგდიდი

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებისთვის იბრძოდა 12 რაიონის ასამდე მოჭიდავე. გუნდური პირველობა მესტიელმა ფალავნებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა ზუგდიდის გუნდი, III — მახარაძელთა კოლექტივი. წონითი კატეგორიების მიხედვით ზონის ჩემპიონები გახდნენ: შ. შუკვანი (მესტია), ო. ჯლამაძე (ცხაკაია), გ. ასუმბანი, ნ. გულგულიანი, გ. თამლიანი (ყველა — ზუგდიდი), გ. დვალიშვილი (მახარაძე), რ. და ლ. ჯაფარიძეები (ორივე — მესტია).

ფ. გაგუა.



საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა ქობულეთში განლაგებული რესპუბლიკური პიონერთა ბანაკების სპარტაკიადა, რომელიც საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომმა და ფიზიკური კულტურის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარეს.

სურათზე: 100 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა პიონერთა ბანაკის „ცისკარას" წარმომადგენელი ო. წიკლაური.

ლ. ტრაპაიძის ფოტო.

# სასიქადულო ნაყოფი

დოსააფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, რომელსაც სამამულო ომის ვეტერანი შ. ლემონჯავა უდგას სათავეში, ამ წელიწადნახევრის წინ შეიქმნა და უკვე სასახელო მაჩვენებლების მოპოვება მოასწრო. ამის საბუთად ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ რესპუბლიკის დოსააფის კოლექტივთა შორის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ზუგდიდელებმა შარშან მეორე ჯგუფში II ადგილი და 500 მანეთის ფულადი პრემია მოიპოვეს.

ახლა ამ ორგანიზაციის ჯგუფებსა და სექციებში სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებს 10 ათასზე მეტი კაცი ეუფლება. აქ უყვართ და იციან ახალგაზრდებთან მუშაობა. განსაკუთრებით კარგადაა საქმე პირველად ორგანიზაციებში.

ენგურის ქაღალდის კომბინატში დოსააფის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ა. მეშველიანმა შემიყვანა შესანიშნავად გაფორმებულ ოთახში, რომელსაც სხვადასხვა სტენდი ამშვენებდა. 85 კომკავშირელმა ჩააბარა სპორტულ-მასობრივი და თავდაცვითი საკავშირო კომკავშირული კონკურს-დათვალიერების გამოცდები.

კომბინატის სპორტული ბაზის მოწყობაში დოსაафელები აქტიურად მონაწილეობდნენ. ნაყოფიერად საქმიანობენ სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების შემსწავლელი ჯგუფები.

ქაღალდის კომბინატის მსგავსი ორგანიზაცია ზუგდიდში სხვაც ბევრია, რომელთა დაინტერესებას ისიც ალვივებს, რომ დოსააფის საქალაქო კომიტეტი ხშირად და საინტერესოდ ატარებს შეჯიბრებებს. მარტო ტყვიის სროლაში 2689 კაცი ასპარეზობდა. ყველაზე კარგ შედეგს № 1 ავტოსატრანსპორტო კონტორის თანამშრომელმა, პირველთანრიგოსანმა ა. პაპავამ მიაღწია. იგი მოტოსპორტშიც საუკეთესო გახლდათ.

გასამხედროებული ლაშქრობა სამჯერ მოაწყვეს. ერთ-ერთ მათგანში გაიმარჯვა 1-ლი სკოლის მოსწავლემ ს. ხარებავამ.

ზუგდიდის დოსააფის ნაკრები გუნდები სპორტის ტექნიკური სახეობების V რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებებშიც ცდიდნენ ძალას — ტყვიის სროლასა და ავტომრავალჭიდში II ადგილები მოიპოვეს.

დოსააფის წევრთა თითქმის ნახევარი მონაწილეობდა სხვადასხვა ასპარეზობაში. საქალაქო კომიტეტს ამ საქმეში ძალიან ეხმარებიან აქტივისტები — მე-4 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ს. ყურუა, ჩაის საწნეხი ფაბრიკის თანამშრომელი ნ. ჭურღულია, მე-2 სკოლის პარტორგი ე. გუბელაძე, ბავშვთა სპორტსკოლის თანამშრომელი ა. დადიაშვილი და სხვ.

დოსააფის საქალაქო კომიტეტის საქმიანობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ინვენტარის სიმცირე ხელს რომ არ უშლიდეთ. ენგურჰესში ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებისას სპორტსმენები შაშხანების უქმარობის გამო რიგს ელოდნენ. არც პნევმატური შაშხანები ჰყოფნით. ჯერ კიდევ არა აქვთ რადიოკლუბი.

ვ. ბუკიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.

## მაიაკოვსკელთა სპორტული ცხოვრება

ჩვენს რაიონში თავისუფალ ჭიდაობაში პირადი ჩემპიონატი წლეულს პირველად გაიმართა. ბუნებრივია, ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ამ კუთხის საუკეთესო სპორტსმენებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: დ. ქარაბაკი, ვ. გოგიბერიძე, მ. ტყეშელაშვილი, ა. გურგენიძე, ვ. გუმბერიძე, ნ. ერისთავი, რ. მაცაბერიძე, ა. ამირანაშვილი, თ. ჟორჟოლიანი.

დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ზონალურ სპარტაკიადაში.

* * *

რაიონის ფეხბურთელთა პირველობაში 9 საკოლმეურნეო კოლექტივი მონაწილეობდა. ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს ფერსათის მახარაძისა და წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობათა გუნდებმა. ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის დამატებითი მატჩი დაინიშნა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ფერსათელებმა.

დ. ენდელაძე,
მაიაკოვსკის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## რაიონებიდან იტყობინებიან

### ✦ ონი

ჩატარდა შეჯიბრება კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაში რაიონის სპარტაკიადის პროგრამით. გუნდური პირველობა ჭიდაობის ორივე სახეობაში ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. ქართულ ჭიდაობაში II ადგილზეა № 10 სამკერვალო ფაბრიკის გუნდი, „კლასიკოსთა" შორის — სოფელ გომის ნაკრები. სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში 6 სახეობის შემდეგ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის დაწინაურდა ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი, სპორტულ საზოგადოებებს შორის კი „განთიადი".

დ. ხახიაშვილი.

# 4. სასკოლო ფიზიკური აღზრდის აღდგენა

## სამოქალაქო სასწავლებლებში ყირიმის ომის შემდეგ

## (1856-1860-ანი წლები)

ყირიმის ომი, როგორც ცნობილია, პარიზის 1856 წლის 30 მარტის ზავით დამთავრდა. უკვე 12 აპრილს, სახალხო განათლების მინისტრის წარდგინების შემდეგ, იმპერატორმა ასეთი განკარგულება გასცა: „ზავის დადებასთან დაკავშირებით, შეწყდეს სამხედრო მეცნიერებათა და ეკზერციციების სწავლება, რაც დედაქალაქების უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში შემოღებული იყო პრაქტიკული ოფიცრების რაც შეიძლება სწრაფად მომზადების მიზნით მათზე სამხედრო მდგომარეობით გამოწვეული განსაკუთრებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად".

ამ ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე, სამხედრო საქმის სწავლება, რაც სამოქალაქო სასწავლებლებში შემოღებული იყო 1850 წლის ბოლოდან, თანდათანობით შეწყდა მთელს იმპერიაში.

ყირიმის ომის დამთავრებისთანავე დაიწყო ომამდე გაუქმებული ტანვარჯიშის სწავლების თანდათანობითი აღდგენაც. მაგალითისთვის, სახალხო განათლების მინისტრმა 1856 წლის 23 აგვისტოს ნება დართო ტანვარჯიშის სწავლება აღედგინათ ოდესის რიშელიეს ლიცეუმთან არსებული გიმნაზიის პანსიონში. საგნის მასწავლებელს წლიურად 300 მანეთი ენიშნებოდა (პანსიონის შესანახი თანხებიდან).

მაგრამ არც იმპერატორის განკარგულება და არც ტანვარჯიშის სწავლების აღდგენის ეს ნებართვა ამ სასწავლებელში სამხედრო საქმის სწავლების ოფიციალურ გაუქმებას არ ნიშნავდა. ამისთვის მეორე წარდგინება და მეორე განკარგულება გახდა საჭირო, რაც მხოლოდ 1857 წლის 20 დეკემბერს, თითქმის წლინახევრის შემდეგ გაკეთდა. განკარგულებაში ეწერა: „სახალხო განათლების მინისტრმა ოდესის სასწავლო ოლქის მზრუნველის წარდგინებით ნება დართო გაუქმდეს ოდესის ორივე გიმნაზიაში საფრონტო სამსახურის ილეთების სწავლება. ლიცეუმის გიმნაზიის მსგავსად, ოდესის მეორე გიმნაზიაში შემოღებული იქნეს ტანვარჯიშის სწავლება. მასწავლებელს მიეცეს 250 მანეთი წლიური ანაზღაურებით ამ გიმნაზიის სწავლის ქირის შემოსავლიდან."

საქმის ვითარება ნათელია და განმარტებას არ მოითხოვს.

1857 წლიდან ტანვარჯიშის სწავლება აღდგა პეტერბურგის 1-ელ და მე-2 გიმნაზიებში.

პეტერბურგის მე-2 გიმნაზიაში ტანვარჯიში ისწავლებოდა 1857 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო განათლების მინისტრმა ამის თაობაზე განკარგულება მხოლოდ 1859 წელს გასცა. ტანვარჯიში უნდა ჩატარებულიყო სწავლისგან თავისუფალ საათებში. მასწავლებლის ხელფასი წლიურად შეადგენდა 150 მანეთს, — გიმნაზიის ეკონომიური თანხებიდან.

1857 წლის 16 იანვარს მინისტრმა ნება დართო, რომ ფარიკაობა შემოეღოთ ხარკოვის 1-ელ (გაიხსნა 1804 წელს) და მე-2 (გაიხსნა 1841 წელს) გიმნაზიებში. ანაზღაურება უნდა ყოფილიყო 100-100 მანეთი პანსიონის ეკონომიური თანხებიდან.

1858 წლიდან ტანვარჯიშმა და ცეკვამ სამხედრო საქმის სწავლება შეცვალა პენზის გიმნაზიაშიც.

ყაზანის გიმნაზიაში ტანვარჯიშის სწავლება 1859 წლიდან აღდგა. ეს საქმე დაევალა „სხვა სასწავლებლიდან მოწვეულ მასწავლებელს". 1861 წლიდან ტანვარჯიშსა და ცეკვას გადიოდა გიმნაზიის პანსიონის ყველა მოსწავლე.

შესაბამისი სასწავლო ოლქების წარდგინებათა შემდეგ გაიცა ორი ნებართვა: 1860 წლის 26 იანვარს — ტულის გიმნაზიაში ტანვარჯიშისა და ფარიკაობის (საგნის მასწავლებლებს წლიურად უნდა მიეღოთ 150 მან. ეკონომიური თანხებიდან) და 1862 წლის 15 დეკემბერს — პეტერბურგის იმავე წელს გახსნილ მე-7 გიმნაზიაში მხოლოდ ტანვარჯიშის სწავლების შემოღებაზე (მასწავლებლის ხელფასი— 300 მან).

მე-7 გიმნაზიაში 1862 წლის 5 ნოემბრიდან 1873 წლის 1 სექტემბრამდე ტანვარჯიშს ასწავლიდა უნტერ-ოფიცერი ი. ვასილიევი (1872 წელს ეს გიმნაზია პეტერბურგის 1-ელ რეალურ სასწავლებლად გადაკეთდა).

1862 წლის 6 ივლისის საბუთი (ოდესის სასწავლო ოლქის წარდგინების საფუძველზე) იძლეოდა ტაგანროგის გიმნაზიის პანსიონში სანოტო სიმღერისა და ტანვარჯიშის სწავლების შემოღების ნებართვას. მასწავლებლების ხელფასი უნდა ყოფილიყო 150 მან. პანსიონის ეკონომიური თანხებიდან.

1867 წელს პეტერბურგში პროგიმნაზია გაიხსნა (იგი 1879 წლიდან VII გიმნაზიად იქცა) და იმ დღიდანვე ტანვარჯიშს ასწავლიდა შტურმანთა კორპუსის პორუჩიკი ი. აფანასიევი. მას შტურმანთა სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული.

მოსკოვის გიმნაზიაში შედარებით გვიან მოხერხდა მდგომარეობის გამოსწორება. მაგალითად, 1-ელ გიმნაზიაში ტანვარჯიშის სწავლება აღდგა მხოლოდ 1867 წლიდან.

რიგის გიმნაზიაში 1868-1881 წლებში ტანვარჯიშს ასწავლიდა შტრას ბერნგარდი. ცალკეულ სასწავლებლებში საგნის სწავლება არათუ აღადგინეს, არამედ პირველადაც შემოიღეს.

საყურადღებოა ცნობები ვ. ეჟოვის ზემოდასახელებული დისერტაციიდან, რომლებიც რუსეთის არმიაში ტანვარჯიშის შემოღებას ეხება.

ამ ცნობების მიხედვით, 1845 წლის ზაფხულზე იმპერატორმა ალექსანდრე II გვარდიული და გრენადერთა კორპუსების მთავარსარდლად გროდნოს ჰუსართა პოლკის მეთაური ფ. რიდიგერი დანიშნა. რიდიგერმა იმავე წლის ზაფხულზე იმპერატორს წარუდგინა წერილი, სადაც ჯარის სწავლების სისტემის შეცვლის წინადადებას იძლეოდა. წერილი იმავე წელს შექმნილი საგანგებო კომისიის მუშაობის პროგრამად იქცა. კომისიაში შედიოდნენ თვით რიდიგერი და დ. მილიუტინი. ამ კომისიის გადაწყვეტილებით, არმიაში ტანვარჯიში 1856 წლიდან შემოიღეს. სინამდვილეში ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა ჯერ კიდევ ყირიმის ომის დამთავრებამდე.

ყოველივე ამას ხელი უნდა შეეწყო ომის დამთავრებისთანავე სამოქალაქო გიმნაზიებში ტანვარჯიშის სწავლების აღდგენისა და ახლად შემოღებისთვისაც. ზემომოტანილი ცნობები ამის დადასტურებას წარმოადგენს.

როგორც ხედავთ, ყველა ცალკეულ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა მრავალსაფეხურიანი ნებართვები ჯერ სასწავლო ოლქისა, შემდეგ განათლების მინისტრისა და თვით იმპერატორისაც კი, რაც უთუოდ აძნელებდა ტანვარჯიშის დროულად შემოღებისა და წარმატების საქმეს.

ამ გაძნელებულ მიმოწერას იწვევდა ის გარემოება, რომ ტანვარჯიში სავალდებულო საგანი არ იყო და მასწავლებელი შტატში არ ითვლებოდა, რის გამოც მისი ხელფასის გაცემის ნებართვას (სასწავლებლის ეკონომიური თანხებიდან) მინისტრის გარდა ვერავინ იძლეოდა. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ტანვარჯიშის სწავლების შემოღებას იმპერიის ყველა გიმნაზია ვერ მოახერხებდა, მით უმეტეს, რომ ჯერ ისევ მოქმედებდა 1828 წლის წესდება.

კავკასია ამ მხრივ უკეთეს პირობებში იყო. აქ ამ დროისთვის მოქმედებდა დამოუკიდებელი სასწავლო დებულება და შტატი, რომელიც თბილისის, ქუთაისისა და ეკატერინოდარის გიმნაზიებისთვის ტანვარჯიშის მასწავლებლის შტატს ითვალისწინებდა. სასკოლო ფიზიკური აღზრდის საერთო მდგომარეობის ფონზე ის მცირე შედეგებიც, რასაც ტანვარჯიშის სწავლებაში მიაღწიეს ამ უკანასკნელმა გიმნაზიებმა, წარმატებად უნდა ჩაითვალოს (ამაზე ჩვენ სხვაგან გვქონდა საუბარი).

სტავროპოლის გიმნაზიაში 1869-1870 სასწავლო წლისთვის ტანვარჯიშული დარბაზი უკვე აღიჭურვა თითქმის ყველა იარაღით. 1869 წლიდან განრიგი ისე იყო შედგენილი, რომ პანსიონის ყველა მოსწავლე ვარჯიშობდა კვირაში ორჯერ, სადილის წინ. ტანვარჯიშული დარბაზი ღია იყო მსურველთათვისაც. ამ გიმნაზიაში ტანვარჯიშს რამდენადმე ადრეც ექცეოდა ყურადღება.

ტანვარჯიში თანდათანობით შემოიღეს სხვა ქალაქების სასწავლებლებშიც, მაგრამ საერთო მდგომარეობა მაინც არასახარბიელო იყო. საგანი ისწავლებოდა მხოლოდ ცალკეული ქალაქების გიმნაზიებში, ასწავლიდნენ უმეტეს შემთხვევაში არასპეციალისტები. მცირე იყო დარბაზების რიცხვი, ღარიბი — მათი აღჭურვილობა. აქედან გამომდინარე ფიზიკური აღზრდის დაბალი დონე კი ხელს უწყობდა მოსწავლეთა დაავადმყოფებას.

განსაკუთრებული მსჯელობის საგნად შეიძლება იქცეს სახალხო განათლების მინისტრის 1865 წლის 7 სექტემბრის „კონფიდენციალური" მოხსენება, რომელიც ფრიად საყურადღებო საბუთია. წერილი წარმოადგენს მინისტრის ერთგვარ ანგარიშს, მოყოლებული 1861 წლის ბოლოდან, როცა მან დაიკავა ეს თანამდებობა. ბარათში იგრძნობა შეშფოთება სხვადასხვა ავადმყოფობის გამრავლებისა და გართულების ხშირი შემთხვევების გამო, იმის გამო, რომ იშვიათადღა მოიპოვებოდნენ ჯანმრთელი ადამიანები.

ამის მიზეზად მინისტრი ასახელებდა გონებრივი მუშაობის გაძლიერებას, მჯდომარე ცხოვრებას, ნაკლებ მოძრაობას სუფთა ჰაერზე, მოსახლეობის თავმოყრას ქალაქებში და ამასთან დაკავშირებული გარყვნილების ზრდას. ხაზგასმულია, რომ ფიზიკური აღზრდის დონე დაბალი იყო ევროპაშიც და რომ ამ გარემოებას ყოველგვარი შესაძლებლობებით უნდა აღდგომოდნენ წინ.

მინისტრს მიაჩნდა, რომ რუსეთის კლიმატურ პირობებში ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდებოდა. ხდებოდა კი პირიქით: აქ მთელი კვირის მანძილზე ერთხელ ჩატარებულ წუთიერ სხეულებრივ მოძრაობას უწოდებდნენ ტანვარჯიშს და ესეც ძალიან ცოტა სკოლაში ხდებოდა. ამასთან, გაკვეთილები არ შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, რომ ბავშვები დღეში რამდენჯერმე გასულიყვნენ ჰაერზე, ეთამაშნათ, მოღონიერებულიყვნენ გაკვეთილებს შორის შესვენებებზე.

მითითებული იყო, რომ სამინისტროს მიერ ამ მხრივ მიღებულ ღონისძიებებს ხშირად არ თანაუგრძნობდნენ მაღალი თანამდებობის პირნი. მინისტრს ეს მიაჩნდა მიზეზად, რომ უნივერსიტეტების ახალმა წესდებამ მხოლოდ დერპტის უნივერსიტეტში გაითვალისწინა ცხენოსნობის, ფარიკაობისა და ცურვის მასწავლებლების შტატი და საჭირო თანხები. გიმნაზიების ტანვარჯიშის მასწავლებლებისა და ექიმებისთვის დაწესდა ძალიან მცირე ხელფასი, რის გამოც ამ დარგის ვერც ერთი მუშაკი ვერ შეძლებდა მთელი თავისი ენერგია ფიზიკური აღზრდის საქმისთვის მიეძღვნა.

მდგომარეობა ნათლადაა წარმოსახული. მაგრამ, მთავარია ის, რომ სახალხო განათლების მინისტრი სავსებით უსუსური ჩანს. მას აშკარად არ გააჩნია საშუალებანი, რათა იბრძოლოს საქმის დაუყოვნებლივი გამოსწორებისთვის.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, ხელისუფლების მიერ აღებული კურსის შესაბამისად, სასკოლო ფიზიკური აღზრდის მიმართ ყურადღება გაამახვილა სახალხო განათლების სამინისტროს ოფიციალურმა საუწყებო ჟურნალმაც. ჟურნალის რედაქციას და რუსეთის იმპერიის მმართველ წრეებს ამ პერიოდში თვალი ძირითადად გერმანული ტანვარჯიშისკენ ეჭირათ. ამასთან, მართალია, ისინი სავსებით არ ივიწყებდნენ ტანვარჯიშის შვედურ სკოლას, მაგრამ ამ სკოლის წარმომადგენლების დე-პაულისა და დე-რონის მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დანერგილი ტრადიციები უკვე აღარსად ჩანდა. ეს ტრადიციები, მოყოლებული 1849 წლიდან, თანდათან ქრებოდა სასკოლო ფიზიკური აღზრდის სავსებით უგულებელყოფის პირობებში.

სასკოლო ფიზიკური აღზრდის დონე 1850-ანი წლების ბოლოსა და 1860-ანი წლების დამდეგისთვის უაღრესად დაბალი იყო. ძლიერ გართულდა და თავიდან გახდა საჭირო მასწავლებელთა კადრების მომზადებისთვის ზრუნვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისა (1849 წლიდან) და აღდგენის (1856 წლიდან) ჩვენს მიერ მიკვლეული დიდად საყურადღებო პერიოდები, რომელთა შესახებაც აქ და წინა წერილში გვქონდა საუბარი, დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა. ამის გამო სათანადო მეცნიერულ ლიტერატურაში მათს შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ზ. შერაზადიშვილი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1970 ფეხბურთი

# თავდამსხმელებმა თუ მოინდომეს...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 25 აგვისტო.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 4:1 (2:0).

„ტორპედო“: გოგია, ჩხაიძე (ანფიმიადი), წვერავა, ქოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ვეკუა (ალადაშვილი), ჩიტაური, ხერხაძე, ქიქავა.

„შახტიორი“: გოვოროვი, იურეცკი, დროზდენკო, ტარანოვი, პოპოვი, კიკოტი, პილიპჩუკი (კლიმოვი), ბილდიუკი (ზახაროვი), კონკოვი, იარემჩენკო, კოზინკევიჩი.

მსაჯი ნ. ხაჩატუროვი (მოსკოვის ოლქი).

დუბლიორები — 2:1 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

დიდი ხანია ქუთაისის „ტორპედოს“ ერთ მატჩში 4 გოლი არ გაუტანია. თუ არ ვცდებით, ასეთ შედეგს მან უკანასკნელად 1968 წელს მიაღწია.

და აი, ახლა, უაღრესად პრინციპულ მატჩში დონეცკის გუნდთან ქუთაისელებმა კვლავ გაიტანეს 4 ბურთი, ხოლო ამის წინ, ასეთივე საპასუხისმგებლო შეხვედრაში ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ 3 ბურთი მოათავსეს მეტოქის კარში.

ამ ამბავს კომენტარი, ვფიქრობთ, არ ესაჭიროება. თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ვუსაყვედურებდით ტორპედოელთა თავდასხმას უმოქმედობას, ინერტულობას, რის შედეგადაც თამაშის მთელი სიმძიმე აწვა უკანა ხაზებს, ისინი კი მუდამ ვერ უძლებდნენ ასეთ დატვირთვას. საკმარისი გახდა თავდამსხმელებს „გამოელოთ ხელი“, ეთამაშათ როგორც ეს საჭიროა და მდგომარეობაც მაშინვე გამოსწორდა. ანგარიში 4:1 თითქოს იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისელება სრული უპირატესობა ჰქონდათ და მატჩიც სულ იოლად იქნა მოგებული. მაგრამ ეს ასე არაა. „ტორპედოს“ დაცვას დიდი ჯაფის გადატანა მოუხდა, ხოლო მეკარე გოგიამ სულ ცოტა 3-4-ჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი აშკარა გოლს. მდგომარეობა იხსნა იმან, რომ თავდამსხმელები ხერხაძის მეთაურობით მოწინააღმდეგეს არ აძლევდნენ ხანგრძლივი იერიშის განვითარების საშუალებას და თავიანთი აქტიურობით მათ საკუთარ ნახევარზე ბორკავდნენ.

ტორპედოელთა შორის ძნელია გამოჰყო ცალკეული მოთამაშეები. ყველამ გააკეთა ის, რაც შეეძლო. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ტორპედოელებს მიეცათ ჯერ კიდევ მე-3 წუთზე, როცა ხერხაძე გოკოროვის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ქუთაისელთა კაპიტანმა იჩქარა...

ქუთაისელთა შეტევები არ დამცხრალა კარგა ხნის განმავლობაში, რაც მე-20 წუთზე დამთავრდა ქოხონელიძე — ხერხაძის კომბინაციით. ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

„შახტიორის“ კონტრშეტევებს შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო უკვე მაშინ, როცა ტაიმის ბოლო წუთი მიმდინარეობდა, ქოხონელიძის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ერქომაიშვილმა კარის წინ გადასცა ვეკუას და ანგარიში გახდა 2:0.

შესვენების შემდეგ დონეცკელებმა ყოველნაირად სცადეს გარდატეხა შეეტანათ თამაშში და რამდენიმეჯერ ახლოც იყვნენ მიზანთან. აქ, როგორც ზევით ვთქვით, საუკეთესოდ ითამაშა გოგიამ. რუმინელებთან მატჩში დაშავებული მეკარე თავს არ იზოგავდა კარის სახსნელად. მაგალითად, 48-ე წუთზე მან იარემჩენკოსგან მოიგერია უძნელესი ბურთი.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა თანდათან ისევ გამოასწორეს მდგომარეობა და 71-ე წუთზე ალადაშვილმა კარგად დაამთავრა პარტნიორების გათამაშებული კომბინაცია — 3:0.

მართალია, 85-ე წუთზე დაცვაში დაშვებული შეცდომის შედეგად კოზინკევიჩმა შეძლო ახლოდან გაეტანა 1 საპასუხო ბურთი, ტორპედოელებმა კვლავ იმარჯვეს და ხერხაძემ ფლანგიდან მეოთხე ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში.

ქუთაისელთა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ერთგვარად გამოსწორდა. დარჩენილ მატჩებში გუნდმა ყველაფერი უნდა იღონოს პოზიციების საბოლოო განმტკიცებისთვის.

ზ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## შეიტანეთ ცვლილებები კალენდარში

ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის შეცვლილ კალენდარს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში.

6 სექტემბერს თბილისელები კიევში შეხვდებიან ადგილობრივ თანაკლუბელებს და 9 სექტემბერს იქვე ჩაატარებენ გამოტოვებულ მატჩს „ჩერნომორეცთან“. 14 სექტემბერს გუნდი ითამაშებს მინსკში.

შემდეგ მატჩები ჩატარდება კალენდრის მიხედვით, ხოლო შეხვედრა ერევნის „არარატთან“ გაიმართება თბილისში, 9 ნოემბერს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 21 | 10 | 8 | 3 | 35—16 | 28 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 20 | 11 | 5 | 4 | 28—12 | 27 |
| ცსკა | 20 | 11 | 3 | 6 | 30—14 | 25 |
| „დინამო“ (თბილისი) | 19 | 10 | 5 | 4 | 28—14 | 25 |
| სკა (დონის როსტოვი) | 21 | 6 | 12 | 3 | 19—13 | 24 |
| „დინამო“ (კიევი) | 21 | 10 | 4 | 7 | 21—17 | 24 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 21 | 8 | 7 | 6 | 22—20 | 23 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 21 | 7 | 9 | 5 | 17—18 | 23 |
| „არარატი“ (ერევანი) | 21 | 9 | 4 | 8 | 21—21 | 22 |
| „ნევთჩი“ (ბაქო) | 20 | 6 | 8 | 6 | 18—14 | 20 |
| „დინამო“ (მინსკი) | 21 | 6 | 7 | 8 | 23—21 | 19 |
| „პახთაქორი“ (ტაშკენტი) | 21 | 5 | 8 | 8 | 14—30 | 18 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 21 | 4 | 8 | 9 | 16—21 | 16 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 20 | 5 | 5 | 10 | 18—33 | 15 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 21 | 4 | 5 | 12 | 19—31 | 13 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 18 | 3 | 6 | 9 | 10—21 | 12 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 20 | 4 | 4 | 12 | 16—34 | 12 |

## სსრ კავშირის პირველობა

## გათამაშების ცხრილები

I ზონა

მდგომარეობა 27 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქაირატი“ (ალმა-ათა) | 27 | 17 | 6 | 4 | 49—17 | 40 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 28 | 14 | 9 | 5 | 37—16 | 37 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 27 | 10 | 14 | 3 | 32—18 | 34 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 27 | 14 | 6 | 7 | 30—17 | 34 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 27 | 14 | 5 | 8 | 29—15 | 33 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 27 | 12 | 8 | 7 | 29—20 | 32 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 27 | 12 | 8 | 7 | 26—23 | 32 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 27 | 12 | 6 | 9 | 38—33 | 30 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 27 | 9 | 10 | 8 | 26—19 | 28 |
| სკა (ხაბაროვსკი) | 28 | 8 | 12 | 8 | 18—19 | 28 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 26 | 9 | 9 | 8 | 28—27 | 27 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 27 | 8 | 11 | 8 | 28—30 | 27 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 26 | 8 | 10 | 8 | 26—21 | 26 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 27 | 9 | 7 | 11 | 19—34 | 25 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 27 | 6 | 12 | 9 | 16—23 | 24 |
| სკა (კიევი) | 27 | 9 | 5 | 13 | 30—31 | 23 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 27 | 9 | 4 | 14 | 23—30 | 22 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 27 | 7 | 8 | 12 | 26—35 | 22 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 27 | 5 | 10 | 12 | 18—30 | 20 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 27 | 5 | 8 | 14 | 17—31 | 18 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 27 | 4 | 10 | 13 | 17—35 | 18 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 27 | 4 | 6 | 17 | 15—48 | 14 |

II ზონა

მდგომარეობა 27 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 27 | 14 | 10 | 3 | 36—16 | 38 |
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 26 | 14 | 9 | 3 | 33—8 | 37 |
| „მეტალურგი“ (ტულა) | 27 | 13 | 8 | 6 | 50—23 | 34 |
| „ვოლგა“ (კალინინი) | 27 | 13 | 8 | 6 | 34—21 | 34 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 27 | 10 | 10 | 7 | 30—29 | 30 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 27 | 10 | 10 | 7 | 26—28 | 30 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 27 | 11 | 7 | 9 | 32—31 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (კალუგა) | 26 | 9 | 11 | 6 | 28—31 | 29 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 27 | 8 | 12 | 7 | 30—26 | 28 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 27 | 11 | 5 | 11 | 32—24 | 27 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 27 | 10 | 7 | 10 | 35—29 | 27 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 27 | 10 | 7 | 10 | 29—29 | 27 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 26 | 8 | 11 | 7 | 26—26 | 27 |
| „დილა“ (გორი) | 27 | 10 | 6 | 11 | 34—36 | 26 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 26 | 9 | 7 | 10 | 22—24 | 25 |
| „სატურნი“ (რიბინსკი) | 27 | 7 | 11 | 9 | 25—33 | 25 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 27 | 8 | 8 | 11 | 30—31 | 24 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 24 | 8 | 6 | 10 | 19—26 | 22 |
| „სტალი“ (ვოლგოგრადი) | 27 | 5 | 11 | 11 | 28—29 | 21 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 27 | 6 | 7 | 14 | 25—39 | 19 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 27 | 3 | 8 | 16 | 12—34 | 14 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 26 | 2 | 9 | 15 | 15—33 | 13 |

## [illegible]

25 აგვისტოს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. ამ დღეს გაიმართა რამდენიმე პრინციპული, მნიშვნელოვანი მატჩი.

მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები — ცსკა და „ტორპედო“. არმიელები თავიდანვე დაწინაურდნენ ფედოტოვისა და დუდარენკოს ბურთების წყალობით. მართალია, შემდგომში პახომოვმა შეძლო შეემცირებინა განსხვავება ანგარიშში, მაგრამ კოპეიკინმა კვლავ დააწინაურა ცსკა — 3:1.

კიევის „დინამოს“ მეტისმეტად დაეტყო თაობათა ცვლა და მოწინავე მოთამაშეთა წასვლა გუნდიდან. ზედიზედ ჩატარებულ ბოლო ოთხ შეხვედრაში კიეველებმა 7 ქულა დაკარგეს და მხოლოდ 1 აიღეს. განვლილ ტურში ექს-ჩემპიონი ერევანში ეთამაშებოდა „არარატს“. მასპინძლებმა სტუმრებს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს — 2:0. ბურთები გაიტანეს ზანაზანიანმა და კაზანჩიანმა.

ცუდადაა „ზენიტის“ საქმეც. ლენინგრადელებმა დონის როსტოვში ვერაფერი გააწყვეს არმიელებთან და ისევ დამარცხდნენ, თანაც, დიდი ანგარიშით — 0:3. გოლების ავტორები არიან სეროსტანოვი, აბრამოვი, ესკოვი (პენალტით). ამ მატჩში ლენინგრადელმა ბურჩალკინმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო. ბურთი აიღო მეკარე კუდასოვმა.

გათამაშების ცხრილის ბოლო სტრიქონი დატოვეს ორჯონიკიძის სპარტაკელებმა, რომლებიც შინ ხვდებოდნენ მინსკის „დინამოს“. ამ მატჩის ბედი გადაწყვიტა სპარტაკელი ზაზროევის გატანილმა ერთადერთმა ბურთმა — 1:0.

„ზარიამ“ ქულა აიღო ტაშკენტში. ვოროშილოვგრადელები აქ წინ იყვნენ (საბო), მაგრამ „ფახთაქორის“ მცველმა დოცენკომ გაქვითა გოლი — 1:1.

* * *

ბომბარდირთა დუელში მდგომარეობა უცვლელია. ვ. კოზლოვს (მოსკოვის „დინამო“) გატანილი აქვს 12 ბურთი, გ. ნოდიას (თბილისის „დინამო“) და გ. მუსაინოვს (მოსკოვის „სპარტაკი“) — 10-10.

უმაღლესი ჯგუფი

# 5:0

## მოსკოვის „დინამო“ — ფინალში

ბარსელონა, 25 აგვისტო. ოთხი საფეხბურთო კლუბის აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მოსკოვის „დინამომ“ დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხა ესპანეთის გუნდი „ბარსელონა“.

ბურთები გაიტანეს: ეშტრეკოვმა (21-ე წ.), მასლოვმა (30-ე წ.), ევრიუჟიხინმა (მე-60 წ. — პენალტით და 69-ე წ.), სიომინმა (87-ე წ.).

თამაშს 90000 მაყურებელი დაესწრო.

ამ გამარჯვებით მოსკოველები ფინალში გავიდნენ, სადაც შეხვდებიან უნგრეთის „უიპეშტ-დოჟას“, რომელმაც ანგარიშით 3:0 (0:0) დაამარცხა „შალკე-04“ (გფრ).

ფინალური მატჩი 26 აგვისტოს გაიმართება.

# კვლავ პირველ ადგილზე

კიევიდან ოქროს მედლებით მკერდდამშვენებულნი დაბრუნდნენ საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ფეხბურთელები. ისინი შარშანაც იყვნენ ამ საზოგადოების საკავშირო ჩემპიონები და წლეულსაც შეინარჩუნეს მიღწეული წარმატება, ამასთან, ისე ძლიერად ითამაშეს, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ.

აი, კიევში ჩატარებული საკავშირო ფინალური შეჯიბრების შედეგები: ჩვენმა ფეხბურთელებმა ფრედ (3:3) ითამაშეს უკრაინის გუნდთან, ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ბელორუსიის, 7:0 — უზბეკეთის, 2:0 — სომხეთისა და 3:2 — რსფსრ-ს წარმომადგენლები.

განსაკუთრებით დაძაბული იყო მატჩი ბელორუსიის ნაკრებთან, სადაც მე-60 წუთამდე წინ იყვნენ ჩვენი მეტოქეები — 1:0. საქართველოს გუნდმა შეძლო ჯერ ანგარიშის გათანაბრება (დელიანიდი), ხოლო შემდეგ გაიმარჯვა კიდეც (რეხვიაშვილი).

ჩვენი გუნდის თავდამსხმელმა ნ. რეხვიაშვილმა მოიპოვა ტურნირის ყველაზე შედეგიანი ფორვარდის წოდება: მან 10 ბურთი გაიტანა.

საქართველოს ნაკრებში თამაშობდნენ გ. ჩხაიძე, გ. საჩალელი, ს. სავიდი, დ. ნადირაძე, ჯ. ჯაფოშვილი, ა. ყარაულაშვილი, ტ. ილიჩევი, ი. მესხი, ტ. არახამია, ე. დელიანიდი, ნ. რეხვიაშვილი, ჟ. ყარაულაშვილი, ი. ნასარაია, ვ. გოროვენკო და ი. გოგუაძე. გუნდს ამზადებდა მწვრთნელი რ. მამაჯანოვი.

გათამაშებაში II ადგილი ერგო უკრაინის გუნდს, III — რსფსრ-ს ნაკრებს.

ბ. კოვალიოვი.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ნაკრები.

ავტორის ფოტო.

# რას იტყვის რენალდ კნიში?

ეს არც თეატრის სცენაა და არც ცირკის არენა. ეს ტანვარჯიშული ფიცარნაგია. მაგრამ ის, რაც აქ ხდება, წარმოსახვას ანცვიფრებს. ოსტატობა, სიმამაცე, სილამაზე, გრაცია, არტისტიზმი, შთაგონება — ამ სიტყვებით შეიძლება დაახასიათო დიდი ტანვარჯიშული ასპარეზობის სანახაობა.

საბჭოთა ტანვარჯიშის სკოლა კარგადაა ცნობილი მსოფლიოში. ქალთა ნაკრებს მარცხის სიმწარე არ უწვნია ოლიმპიურ თამაშებში. ლ. ლატინინას, პ. ასტახოვას, ს. მურატოვას სახელები ოსტატობისა და გამარჯვების სიმბოლოებად იქცა. თითქოს მათ ბადალი არ ჰყავდათ და არც მომავალში ეყოლებოდათ სრულფასოვანი შემცვლელები. მაგრამ 1964 წელს ვიტებსკელმა მოსწავლემ ლ. პეტრიკმა 0,05 ქულით გაუსწრო სახელგანთქმულ ლატინინას და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ამ შეჯიბრებაში ჩინებულად გამოვიდა კიდევ ერთი მოსწავლე — ლენინგრადელი ნ. კუჩინსკაია. საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე გამოჩნდნენ ლ. ბურდა, ზ. დრუჟინინა, ო. ხარლოვა. ამ გოგონებმა უკან დაახევინეს ძველ გვარდიას და სატანვარჯიშო ფიცარნაგის განუყოფელი ბატონ-პატრონები გახდნენ.

გავიდა რამდენიმე წელი და კვლავ სენსაცია: 14 წლის გროდნოელმა მოსწავლემ ო. კორბუტმა 1969 წლის საკავშირო ჩემპიონატში (დონის როსტოვი) მსოფლიოში პირველმა შეასრულა უკუმალაყი დვირზე.

... მინსკის სპორტის სასახლე. სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ნებისმიერი პროგრამით გამოდიან ქალები. გულახდილად ვიტყვი, შეჯიბრების მონაწილენი გარეგნულად უფრო მაღალი კლასების მოსწავლეებს ჰგვანან. ეს მართლაც ასეა: მათი უმრავლესობა სწორედ ამ ასაკისაა.

სატელევიზიო კამერები არ სცილდება შეჯიბრების ლიდერებს ლ. ბურდას, ზ. ვორონინას, ლ. ტურიშჩევას. ღუღუნებენ კინოაპარატები, როცა გამოდის ელეგანტური ვიტებსკელი ტანმოვარჯიშე ტ. ლაზაკოვიჩი (მან III ადგილი დაიკავა). მაგრამ აი, დვირთან მიდის ბიჭურად შეკრეჭილი, ქერათმიანი, გამხდარი გოგონა. სატელევიზიო კამერამ მყისვე ამ იარაღთან გადაინაცვლა, დარბაზი გაირინდა, ყველა მწვანე კოსტუმში გამოწყობილ პატარა ფიგურას შეჰყურებს. ჩვენი სტუმარი — ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, შვეიცარიელი ა. განდერი სკამიდან წამოდგა. ვისზეა გადატანილი ამდენი ყურადღება? გამოდის ოლია კორბუტი.

მწვანე კუტკალიასავით გრაციოზულად დახტის იგი ვიწრო დვირზე და ერთმანეთს ენაცვლება ურთულესი ელემენტები. დაბოლოს, აი ისიც — ცნობილი უკუმალაყი. ამბობენ, რამდენიმე ტანმოვარჯიშე უკვე მუშაობს ამ ულტრა-სიზე, მაგრამ შეჯიბრებაში მის გამოტანას კორბუტის გარდა ვერავინ ბედავს.

შემდეგ იყო თავისუფალი ვარჯიში, სადაც უმაღლესი კლასის აკრობატიკა კორბუტის ნახევრადბავშვურ გრაციას ეხამებოდა, ბოლოს კი ისეთი ფრენანახტომი, მაყურებელს სუნთქვას რომ შეუკრავს... საკმარისია ითქვას, რომ XXX ადგილიდან, რომელიც კორბუტს სავალდებულო პროგრამის შემდეგ ეკავა (მას დასანანი მარცხი მოუვიდა ორძელზე), მან XIII ადგილზე გადაინაცვლა.

ჭერჭერობით კი შეჯიბრება გრძელდება. ტანმოვარჯიშეები ერთი იარაღიდან მეორეზე გადადიან. კორბუტი გულმოდგინედ ემზადება მორიგი გამოსვლისთვის. თითქოს მისთვის მაყურებელი არ არსებობს, დიდ ყურადღებას არც მსაჯებს აქცევს, უბრალოდ, სიამოვნებით აკეთებს იმას, რაც საერთოდ ყველაზე მეტად მოწონს. მაგრამ აი, უეცრად მოსდის შეცდომა — პატარა, თითქმის უხილავი. და გოგონა ნერვიულობას იწყებს, აქეთ-იქით იყურება, თვალებით ვიღაცას ეძებს. იგი აქ არის, ახლოს — მისი მწვრთნელი. რამდენიმე სიტყვა, ან უბრალოდ მშვიდი ღიმილი და ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

რენალდ კნიში გროდნოში 1953 წელს ჩავიდა. საშუალო ტანის, ხმელხმელი ჭაბუკი არაფრით გამოირჩეოდა. ურიგო ტანმოვარჯიშე როდი იყო, მაგრამ ავადმყოფობამ გამოსვლებში ხელი შეუშალა, მინსკის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სწავლის მიტოვებაც კი მოუხდა. ეს ინსტიტუტი მან დაუსწრებლად მოგვიანებით დაამთავრა. მუშაობა დაიწყო საბავშვო სპორტულ სკოლაში.

და აი, დაიწყო უჩვეულო ამბები.

იმ დროის ტანვარჯიშში ელემენტები და ვარჯიშები გარკვეულწილად შემოფარგლული იყო. მათ მხოლოდ სრულყოფდნენ და ხვეწდნენ. ნორჩი ტანმოვარჯიშეები კვირაში სამჯერ ვარჯიშობდნენ ორი-სამი საათის განმავლობაში. ასე იყო მიღებული. ხოლო, ვინაიდან საბჭოთა ტანვარჯიში მუდამ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა, წვრთნის არსებული სისტემა არავის ეხამუშებოდა.

ბუნებრივია, რომ კნიშის წამოყენებულმა წინადადებამ სპეციალისტები პირდაპირ აღაშფოთა. როგორ შეიძლება ბავშვების (ტანვარჯიშში მეცადინეობას დაახლოებით 10 წლის ასაკიდან იწყებენ) ვარჯიში ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში?! მაგრამ დრომ და შედეგებმა დაამტკიცეს, რომ ახალგაზრდა გროდნოელი მწვრთნელი სწორი იყო. მართლაც, აბა დაითვალეთ, რამდენს დარბის და დახტის ბავშვი ეზოში, ხოლო ეს კი არ ავნებს მის ორგანიზმს, არამედ პირიქით, აუცილებელიც არის. წინდაწინ ვიტყვი, რომ სადღეისოდ ყოველდღიური ხანგრძლივი მეცადინეობის სისტემა საბჭოთა კავშირის ყველა მწვრთნელმა გაიზიარა.

რ. კნიშს არ აკმაყოფილებდა შეფასებები 9,3—9,4 ქულა, რასაც მსოფლიო პირველობებში გამარჯვებულნი ღებულობდნენ. რატომ არ უნდა იყოს 9,8 ან 10 ქულაც კი? ამისთვის საჭიროა არა მარტო „სუფთად" შესრულო ვარჯიში, არამედ კიდეც გაართულო. მწვრთნელს თავისი აღსაზრდელების პროგრამაში შეაქვს სრულიად ახალი, გაბედული, ზოგჯერ სარისკო ელემენტებიც კი. ამავე დროს, ისე შრომობს, რომ ყურადღებას არ აქცევს დღეებს, კვირეებს, თვეებს. დასვენების დღეები და შვებულებები მისთვის არ არსებობს.

როცა ტანვარჯიშის სამყაროში გაჩნდნენ ახალი ბელორუსიელი ვარსკვლავები ვოლჩეცკაია და ალექსეევა, ეს შემთხვევითობა კი არა, კანონზომიერება იყო. ე. ვოლჩეცკაია და თ. ალექსეევა წარმატებით და სტაბილურად გამოდიოდნენ. 1957 წელი — გროდნოს ტანმოვარჯიშე ქალები I ადგილს იკავებენ რესპუბლიკაში; 1960-61 წლები — ვოლჩეცკაია და ალექსეევა შედიან სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში; 1963 წელი — ვოლჩეცკაია სსრ კავშირის ჩემპიონია ბჯენით ხტომებსა და დვირზე ვარჯიშში; 1964 წელი — ალექსეევა უძლიერესია ხტომებში. საერთოდ, ბჯენითი ხტომა კნიშის მოწაფეების მთავარი ნომერია, — სწორედ მან დააფუძნა პრაქტიკულად სატანვარჯიშო მრავალჭიდის ამ სახეობის მეთოდიკა. იმავე, 1964 წელს, ალექსეევა ბრწყინვალედ გამოვიდა ავსტრიაში გამართულ გიმნასტრადაში (შეჯიბრებები აკრობატიკაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში).

მაგრამ, საუბედუროდ, ტრავმამ მწყობრიდან გამოიყვანა ალექსეევა. ვოლჩეცკაიამ გამოსვლებს თავი მიანება. კნიშმა, რომელსაც დიდ დროსართმევდა შეჯიბრებებზე თავის აღსაზრდელებთან ერთად მოგზაურობა, სწრაფად როდი მონახა ღირსეული ცვლა. „კნიშს ხელი მოეცარა, მისმა სისტემამ ვერ გაამართლა", — იშვიათად როდი ესმოდა მაშინ გროდნოელ მწვრთნელს.

მაგრამ იგი ისეთი ადამიანი არ გახლავთ, ნახევარ გზაზე რომ შეჩერებულიყო. კნიშმა გოგონების ახალი ჯგუფი შეკრიბა და მის წვრთნას შეუდგა.

სპორტში ათასობით, მილიონობით ადამიანი მოდის, ჩემპიონები კი ერთეულები ხდებიან. ეს კარგად იცოდა კნიშმა და ამიტომ გულმოდგინედ არჩევდა ახალბედებს. რას მოვითხოვთ მომავალი ტანმოვარჯიშისგან? თავდაპირველად ცოტას: სიმსუბუქეს, მოქნილობას, მცირე სიმაღლეს. რაღაც დროის შემდეგ ირკვევა, აქვს თუ არა გოგონას ნიჭი. ზოგჯერ ასეც ხდება: ნიჭიც აქვს, შრომისმოყვარეობაც, მაგრამ გამბედაობა აკლია. კნიშის სკოლას ასეთი მოწაფე არ გამოადგება. საჭიროა ყველაფერი იყოს: ნიჭიც, გამბედაობაც, შრომისმოყვარეობაც და ტანვარჯიშის სიყვარულიც. ასეთი შეხამების პოვნა პატარა ქალაქ გროდნოში იოლი როდია. მაგრამ კნიში პოულობს.

იწყება ვარჯიშები. ახლა ძნელია იმის თქმა, ვისთან ატარებენ მეტ დროს გოგონები — მშობლებთან თუ მწვრთნელთან. მწვრთნელი მოწმეა მათი კაპრიზებისა და ცრემლებისა, მღელვარებისა და სიხარულისა. პირველმა წარმატებამ შესაძლოა თავბრუდახვევა გამოიწვიოს. მაშინ მოდის უსაფუძვლო დიდგულობა და ამპარტავნობა. და მხოლოდ მას — მწვრთნელს შეუძლია ამ ხარვეზების აღმოფხვრა. იგი ტანვარჯიშს ყველაფერს აძლევს და იგივეს მოითხოვს თავისი მოსწავლეებისგან. დიდ სპორტში სხვა გზა არც არის.

კნიშის სკოლა მოვლენაა ტანვარჯიშში. „ჩემი პირველი მწვრთნელი გ. დმიტრიევი ბევრს სწავლობდა კნიშისგან", — ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი ლ. პეტრიკი. საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრების მწვრთნელი ლ. ლატინინა წლეულს სპეციალურად ჩავიდა გროდნოში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის რ. კნიშის ვარჯიშების სისტემის გასაცნობად.

კნიში ძიებას აგრძელებს. იგი მხოლოდ ახალ ელემენტებს, კომბინაციებს როდი ქმნის, მისთვის არ არსებობს წინასწარ შექმნილი აზრი. ალბათ სწორედ ამითაა გამორჩეული ნამდვილი შემოქმედება. კნიშის მოწაფეები ვარჯიშობენ მისი საკუთარი კონსტრუქციის ორძელზე, მუშაობენ ბატუტზე, რომლის დამზადებაში კნიშის „ხელიც ურევია". მისი შემოქმედებითი ფანტაზია გაფურჩქვნის ხანაშია...

რასაკვირველია, მხოლოდ ო. კორბუტი როდია კნიშის ნიჭიერი მოწაფე. არიან კიდევ ლ. პიროგოვა, ლ. ნესტერი, ა. ვოიტკოვსკაია, ლ. კორჩაგინა, გ. გერასიმჩიკი. 41-ე საკავშირო ჩემპიონატის დროს მინსკის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე თ. ალექსეევას გვერდით, რომელიც ახლა თავის აღმზრდელთან ერთად მუშაობს, ექვსი გოგონა იჯდა. მუხლებზე მათ რვეულები ედოთ, სადაც მუდამ რაღაცას იწერდნენ.

იქნებ მათ შორისაა მომავალი მსოფლიო ჩემპიონი? იქნებ იგი ჯერ კიდევ არც შესულა ტანვარჯიშულ დარბაზში... ერთი კი უდავოა, ბელორუსიელ მწვრთნელს რ. კნიშს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი ბოლო სიტყვა ტანვარჯიშში.

**თ. რეუტოვიჩი.**

* * *

სურათზე: ო. კორბუტი ორძელზე ვარჯიშის დროს.

* * *

*რედაქციისგან: ამ წერილში არ არის შეტანილი 1970 წლის საბჭოთა კავშირის თასისა და ცალკეულ იარაღებზე პირველობის გათამაშების შედეგები. როგორც ცნობილია, ამ ტურნირში ო. კორბუტმა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბჯენით ხტომებში.*



## ✦ წითელი წყარო

აქ გაიმართა რაიონის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ I ადგილი დაიკავა ზემოქედელმა გ. ქიმოსტელმა. II ადგილზეა ტრესტ „საქმარმარილოს" წითელი წყაროს კირქვების საკარიერო სამმართველოს წარმომადგენელი ჰ. ჯანყარაშვილი, III — ზემოქედელი ს. წიკლაური.

**გ. კაკალაშვილი.**

## ✦ ახალქალაქი

გაიმართა ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება სპორტის რამდენიმე სახეობაში. 15-კილომეტრიან საგზატკეცილო ველორბოლაში გაიმარჯვა სპარტაკელმა ი. კარაპეტიანმა. ფეხბურთელთა მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კარტიკამისა და ოკამის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები. გაიმარჯვეს ოკამელებმა. შეჯიბრებები ჩატარდა, აგრეთვე, ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში.

**ს. მეტრეველი.**



# ახალი ამბები

● **ტალინი, 25 აგვისტო.** კალათბურთელ ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს ლიტვის ნაკრებმა ანგარიშით 83:75 დაამარცხა ესტონელები. უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრებისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდის ორთაბრძოლა. გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 67:64.

● **პარიზი, 25 აგვისტო.** ჟურნალ „საფრანგეთი — სსრ კავშირის" აგვისტო-სექტემბრის ნომერში მთავარი ყურადღება საბჭოთა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებას დაეთმო. მასში მოთხრობილია საბჭოთა სპორტის ისტორია და მისი დღევანდელი მდგომარეობა. წერილი უხვადაა დამშვენებული ფოტოსურათებით. ფრანგი მკითხველი ეცნობა ცალკეული სპორტული კოლექტივების ცხოვრებას, საკავშირო ფედერაციების საქმიანობას, სპორტული საზოგადოებების სტრუქტურას, რომლებიც მილიონობით ფიზკულტურელს აერთიანებენ. წერილის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს პირველობა უკავია სპორტში აქტიურად მომეცადინე ადამიანების რაოდენობით.

ახალი ამბები

როგორც ვიტყობინებდით, ბუდაპეშტში გაიმართა მძლეოსნობაში ევროპის თასის გათამაშების ფინალი ქალთა კოლექტივებისთვის. სსრ კავშირის სპორტსმენთაგან ერთადერთი ნ. ჩიჟოვა გახლდათ, რომელმაც ამ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა, თანაც, ბირთვის კვრაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგს (19,42 მ) მიაღწია. წლეულს ეს ჩიჟოვას მესამე დიდი გამარჯვებაა. პირველ წარმატებას მან ვენაში კონტინენტის ზამთრის ჩემპიონატში მიაღწია, შემდეგ კი ლენინგრადში აშშ-ს მძლეოსნებთან მატჩში.

* * *

სურათზე: ნ. ჩიჟოვა ბუდაპეშტში ასპარეზობისას.

ხაჟდესის ფოტო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე—93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.